განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

## გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 25-26 თებერვალი.

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 200002120 |
| დაწესებულების სახე | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინსიტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში, 0203 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული (10.01.2014, გადაწყვეტილება №6) |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) საბაკალავრო პროგრამა 2014 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამის აკრედიტაცია განხორციელდა 2014 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების სააკრედიტაციო საბჭოს 10.01.2014, გადაწყვეტილება №6). სრული პროგრამული კურსი გათვლილია ოთხ აკადემიურ წელზე, წელიწადში – 38 კვირა. სტუდენტებს ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო ხარისხი ენიჭებათ 240 კრედიტის დაგროვების შემდეგ. მათ შორის: ძირითადი პროგრამის სავალდებულო დისციპლინები - 143 კრედიტი; საუნივერსიტეტო სავალდებულო დისციპლინები - 27 კრედიტი; დამატებითი პროგრამის და თავისუფალი კომპონენტების დისციპლინები - 70 კრედიტი; საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებითა და პროგრამის განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდა რიგი ცვლილებები: კერძოდ, მოხდა პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია, განახლდა გამოყენებული ლიტერატურა, გაფართოვდა პროგრამის თავისუფალი დისციპლინების მოდული, სტუდენტებისათვის თავისუფალი კრედიტის სახით შეთავაზებული იქნა ,,სტარტაპის მენეჯმენტი და მეწარმეობა“ ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი, რომელიც იკითხება მოწვეული უცხოელი ლექტორის მიერ, განახლდა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემადგენლობა და გაიზარდა პროგრამაში ჩართული აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. დღეის მდგომარეობით პროგრამაზე ირიცხება 25 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, საანგარიშო პერიოდში (2014-2018 წწ) პროგრამა დაასრულა 9 სტუდენტმა, საიდანაც 8 დასაქმებულია პროფესიის მიხედვით მენეჯერულ პოზიციებზე, ხოლო 1 სტუდენტი სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ამავე პერიოდში პროგრამის 4 სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრის მანძილზე გერმანიაში, ჰაიდენჰაიმის პარტნიორ უნივერსიტეტში, 6 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 25 თებერვლს თბილისში ირინა ენუქიძის ქუჩა №3-ში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა (გოჩა თუთბერიძე, ნინო ზარნაძე და დავით ბურჯანაძე) განიხილეს თვითშეფასების ანგარიში. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

25 თებერვალს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (რექტორი, ვიცე რექტორი, სტრატეგიული განვითარების სამსახური, ბიზნესის და მართვის სკოლის დეკანი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტებთან.

**რეკომენდაციები**

- უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება. ამასთან, ჯერ უნდა განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების და კომპეტენციების განსაზღვრა და შემდეგ განისაზღვროს პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურა და მასში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმირება. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - კარგი იქნება, შრომის ბაზრის კვლევამ მოიცვას არა მხოლოდ უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, არამედ საქართველოს შრომის ბაზარი მთლიანად, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს უკეთესად დაინახოს შრომის ბაზრზე არსებული მიმდინარე მოთხოვნილებები და სამომავლო ტენდენციები, მოთხოვნადი პროფესიები და დეფიციტური სპეციალობები.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია: მოამზადოს სპეციალისტები ბიზნესის მართვის სფეროსათვის, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მენეჯმენტის კონცენტრაციით. პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია ნათლად, ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.<br>პროგრამის შემუშავებამდე დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც ჩაატარა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახურმა. კვლევის მიზანი იყო შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. კერძოდ, საქართველოში შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების იდენტიფიკაცია, მოთხოვნადი პროფესიების განსაზღვრა და მასთან კურსდამთავრებულთა/ სტუდენტთა კომპეტენციების თავსებადობის დადგენა, ასევე, იმ პროფესიების დადგენა, რომლებიც მიმდინარე პერიოდში დეფიციტურია ან/და უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელია მათზე მოთხოვნის გაზრდა. კვლევის პროცესში გამოკითხულ იქნა უნივერსიტეტის პარტნიორი 80 კომპანია. კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დამსაქმებლების ნახევარზე მეტი კმაყოფილია უნივერსიტეტის მიერ მომზადებული სპეციალისტების კვალიფიკაციით. შრომის ბაზრის კვლევამ ვერ გამოავლინა ვალიდური მაჩვენებლები დეფიციტური პროფესიების და უახლოეს 2-3 წელიწადში კადრებზე მოთხოვნილების ცვლილების შესახებ. ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი მდგომარეობს კვლევის მასშტაბში, ვინაიდან კვლევამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოიცვა მხოლოდ უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლები. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარები დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ნაწილში სრულიად ვალიდურია.<br>საგანამანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, |

მიზნებსა და სტრატეგიას, ძირითადად ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნილებებსა და ტენდენციებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის მისია http://gruni.edu.ge/menu_content/index/266
- შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, პრორექტორთან, სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსთან, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანთან

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კარგი იქნება, შრომის ბაზრის კვლევამ მოიცვას არა მხოლოდ უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციები, არამედ საქართველოს შრომის ბაზარი მთლიანად, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემს უკეთესად დაინახოს შრომის ბაზრზე არსებული მიმდინარე მოთხოვნილებები და სამომავლო ტენდენციები, მოთხოვნადი პროფესიები და დეფიციტური სპეციალობები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით მოიცავს პირველი საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების რაოდენობა ძალიან ბევრია, შესაბამისად დგება მათი გაზომვის და შეფასების პრობლემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების შემცირება. ამასთან, ჯერ უნდა განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების და კომპეტენციების განსაზღვრა და შემდეგ განისაზღვროს პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურა და მასში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმირება. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი.

პროგრამას გააჩნია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც უჩვენებს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შდეგებთან და ასევე სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, პრორექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, ბიზნესისა და მართვის სკოლის

| |
|---|
| დეკანთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>- უნდა მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირება. ამასთან, ჯერ უნდა განხორციელდეს პროგრამის სწავლის შედეგების და კომპეტენციების განსაზღვრა და შემდეგ განისაზღვროს პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურა და მასში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმირება. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი უნდა იყოს გაზომვადი და შეფასებადი; |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან | X | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი წესებით. პროგრამაზე ირიცხება 25 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, 2014-2018 წწ პროგრამა დაასრულა 9 სტუდენტმა, სიდანაც 8 დასაქმებულია პროფესიის მიხედვით მენეჯერულ პოზიციებზე, ხოლო 1 სტუდენტი სწავლას აგრძელებს უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე მაგისტრატურაში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ამავე პერიოდში პროგრამის 4 სტუდენტი იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით ერთი სემესტრის მანძილზე გერმანიაში, ჰაიდენჰაიმის პარტნიორ უნივერსიტეტში, 6 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში. უნივერსიტეტი ატარებს შიდასაუნივერსიტეტო ინგლისური ენის გამოცდას, რათა დაჰყოს სტუდენტები ჯგუფებად ინგლისური ენის ცოდნის დონის მიხედვით და შესაბამისად მოამზადოს ისინი. ინფორმაცია პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უნივერსიტეტის ფარგლებში ასევე ხორციელდება ღია კარის დღეები, სადაც აბიტურიენტებს ეძლევათ შესაძლებლობა შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა პირებს ინფორმაციის მიღების მიზნით. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• დებულება „სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი“;<br>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი http://gruni.edu.ge/school_menu_content/index/285/1442824984 |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურების გამოყენებით. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შეხაბ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. პროგრამის შემუშავებისას |

გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამა ასევე ეყრდნობა უნივერსიტეტში შემუშავებულ საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის სტანდარტს. ამას გარდა, საბაკალავრო პროგრამა შექმნილია ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე. პროგრამის სასწავლო კურსი მოიცავს ყველა იმ აუცილებელ და მნიშვნელოვან სასწავლო კურსს, რომელიც პასუხიბს პროგრამის შედეგებს და უნივერსიტეტის მისიასმიღწევადს ჰქმნის. ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) საბაკალავრო პროგრამა აგებულია სტრუქტურიზებული ფორმით, კერძოდ, იგი მოიცავს საუნივერსიტეტო, დარგობრივ, მაპროფილებელ და თავისუფალ სასწავლო კომპონენტებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

| |
|---|
| ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა (მენეჯმენტი) სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის სპეციალობის განმსაზღვრელი თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული, ლოგიკურია და აწყობილია ალგორითმით „მარტივიდან რთულისაკენ“. მასში შემავალი სასწავლო კურსები და მასზე დაშვების წინაპირობები ასევე ლოგიკურია და ხელს უწყობს სტუდენტს სასწავლო კურისი შედეგების მიღწევაში და ასევე პროგრამის მიზნების მიღწევაში. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფილია კონკრეტული სასწავლო კურსებში სილაბუსებით, სადაც დეტალიზებულია ცალკეული სასწავლო კურსის შინაარსი და მისი ათვისებისათვის საჭირო კრედიტების მოცულობა. სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობის დასადგენად უნივერსიტეტში გამოიყენება კრედიტების გაანგარიშების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების კვლევების შედეგებს, ცალკეული სასწავლო კურსის სპეციფიკას, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას. ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე, კერძოდ სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურად გამოყენებულია თანამედროვე ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი დარგობრივი ლიტერატურა, სხვადასხვა დარგობრივი ინტერნეტ რესურსები, უნივერსიტეტში მოქმედი მონაცემთა საერთაშორისო ბაზები და ა.შ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში<br>o საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა<br>o ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან |

- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს პროგრამის პრაქტიკული, სამეცნიერო და კვლევითი უნარების განვითარებისათვის. უნივერსიტეტში დამკვიდრებულია უნივერსიტეტთშორისი და საერთაშორისო კონფერენციების განხორციელების

| |
|---|
| ყოველწლიური პრაქტიკა. ყოველ სასწავლო წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის და მართვის სკოლის ბაკალავრების გარდა ამ კონფერენციებში მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელების წარმომადგენლები. უნივერსიტეტისმიერ შეთავაზებულია სხვადასხვა აქტივობები: სასწავლო პრაქტიკა, გაცვლითი პროგრამები, სტაჟირება, სამეცნიერო კონფერენტციებში მონაწილეობა და სხვა. პროგრამის სტრუქტურა ითვალიწინებს პრაქტიკულ კომპონენტის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში, რომლის მიზანია სტუდენტებმა საქმიან ურთიერთობებში გამოიყენონ აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები, განავითარონ და გააფართოვონ უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრების (მარკეტინგი) შესახებ მიღებული ცოდნა და შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირება. ზოგადი ცოდნის გაღრმავების მიზნით სტუდენტებისათვის ორგანიზებულია დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები. ბოლო წლებში პროგრამის 6 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში. ასევე სტუდენტების პიროვნული და პროფესიული განვითარების მიზნით (Erasmus +) მობილ + (MOBIL +) და სხვა საერთაშორისო გავცლითი პროგრამების ფარგლებში, სტუდენტები სასწავლებლად იგზავნებიან საზღვარგარეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. საერთაშორისო დონეზე პროგრამის მხარდამჭერი პარტნიორები არიან: ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის კონკურენციისა და სტრატეგიის ინსტიტუტი (კემბრიჯი, აშშ), კატოვიცის ეკონომიკის უნივერსიტეტი (კატოვიცა, პოლონეთი), სლუპსკის ზღვისპირა აკადემია (სლუპსკი, პოლონეთი), ისრაელის ხაიფის უნივერსიტეტი (ისრაელი, ხაიფა), სორბონის აბუ-დაბის უნივერსიტეტი (საფრანგეთი, სორბონი, კლერმონი). მაგალითად, 2017 წელს პროგრამის 4 სტუდენტი იმყოფებოდა გერმანიაში ჰაიდენჰაიმის პარტნიორ უნივერსიტეტში ერთი სემესტრით, 2018 წელს 2 სტუდენტი გაემგზავრა საფრანგეთში კლერმონის უნივერსიტეტში ერთი წლით, ხოლო 2 სტუდენტი იმყოფებოდა პოლონეთში ერასმუსის პროგრამით პომერანიანის უნივერსიტეტში ერთი სემესტრით. ბოლო წლებში გამართულ სტუდენტთა უნივერსიტეტთაშორისი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო პროგრამის 6 სტუდენტმა; ამავე წლებში სხვადასხვა დაწესებულებებში სტაჟირება გაიარა 10 სტუდენტმა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>o ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან |

| |
|---|
| o ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან<br>o ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან<br>o ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლისა და სწავლების პროცესში გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა; სასწავლო პრაქტიკა; პროექტი; საბაკალავრო, ნაშრომი; ელექტრონული სწავლება და კონსულტაცია. პროგრამის შედეგების მიღწევაში სტუდენტებს ხელს უწყობს |

უნივერსიტეტისმიერ ორგანიზებული საჯარო ლექციები და ვორკშოპები დარგში აღიარებულ სპეციალისტებთან, საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება და სტაჟირებები როგორც ქვეყნის სიგნით, ასევე საზღვარგარეთ. ცალკეული სასწავლო კურსებისათვის განსაზღვრულია ამ კურსის სწავლის შედეგების მიღწევისათვის ადეკვატური სწავლების მეთოდები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
- ინტერვიუ აკადემირ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| უნივერსიტეტს გააჩნია მრავალკომპონენტიანი და მრავალდონიანი შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების ობიეტური შეფასების შესაძლებლობას.<br>შეფასების სისტემის შედგენის და მისი შემდგომი გაუმჯობესების პროცესი ეყრდნობა სტუდენტეისა და სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს.<br>სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელისათვის შემუშავებულია მარეგულირებელი დოკუმენტების პაკეტი, რომლის მიხედვითაც პერსონალს უადვილდება სწავლის შედეგების გაზომვისათვის შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა.<br>სტუდენტის ინფორმირებულობა თითოეულ საგანმანათლებლო კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდების, წყაროებისა და კრიტერუმების შესახებ დეტალურად არის ასახული შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც ხელმისაწვდომია გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისათვის საგანმანათლებლო პროცესების მართვის საუნივერსიტეტო სისტემის - Nexus - მეშვეობით.<br>უნივერსიტეტის ვებ გვერდიდან, სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია, აქვეა განთავსებული აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა ნექსუსი, რომლის საშუალებითაც სტუდენტს შეუძლია თვალყური ადევნოს საკუთარი სწავლის პროცესს. სისტემით სარგებლობისთვის საჭიროა რეგისტრაციის და ავტორიზაციის გავლა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს: დაათვალიეროს და ამობეჭდოს საანკეტო მონაცემები (სტუდენტის ანკეტა); გაეცნოს და ამობეჭდოს შეფასებები კურსების მიხედვით; თავად აირჩიოს საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები; გაეცნოს და ამობეჭდოს აკადემიურ პროგრამაში არსებული სილაბუსები; პერიოდულად შეცვალოს სისტემაში შესასვლელი პაროლი; დაათვალიეროს და ამობეჭდოს აკადემიური ცნობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას: გავლილი დისციპლინების და შესაბამისი შეფასებების და დაგროვილი და დარჩენილი კრედიტების შესახებ. დამატებით მათ შეუძლია გაიარონ კონსულტაცია საკუთარი აკადემიური მოსწრების შესახებ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან და ცალკეული სასწავლო კურსის ლექტორთან. აღნიშნული სისტემა, ერთი მხრივ, არწმუნებს სტუდენტს შეფასების ობიექტურობაში, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს კრიტიკულ თვითშეფასებას, საკუთარი სწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, სათანადო დასკვნების გაკეთებას, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>– ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) საბაკალავრო პროგრამა<br>– სტუდენტის სტატუსისა და სასწავლო პროცესის რეგლამენტი<br>– ელექტრონული პორტალი - ნექსუსი |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
